

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 29

2012 წლის 17 აგვისტო

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბი თანახმად №1 დანართისა.

მუხლი 2. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დროშა თანახმად №2 დანართისა.

მუხლი 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის გამოყენება და დაცვა განხორციელდეს „თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მაისის №363 ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის ორიგინალების შენახვის ადგილად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

მუხლი 5. „თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მაისის №363 ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დაცვის უზრუნველყოფა დაეკისროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლ. კონჯარია

დანართი 1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბი



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბის აღწერილობა

გერბის ფარს 4 ნაწილად (ველად) ყოფს ჯვარი, რომლის მკლავები ეხება ფარის კიდეებს. პირველი ნაწილი – მოწის ველზე მოთავსებულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ვერცხლის კვართი; მეორე ნაწილი – ლ აჟვარდის ველზე ოქროს საწმისი; მესამე ნაწილი – ლაჟვარდის ველზე ვერცხლის ხუთი შემცირებული ტალღოვანი სარტყელი; მეოთხე ნაწილი – მოწის ველზე ყალყზე შემდგარი ვერცხლის ცხენი.




გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკომპიანი გალავანი (ციხესიმაგრე) ნახევრად ღია ჭიშკრით.

ფარის ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ- ლაჟვარდოვანი ზაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი „ზუგდიდი“.

დანართი 2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დროშა



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დროშის აღწერილობა

დროშის ძოწის ველზე გამოსახულია ოქროს ჯვარი, რომლის მკლავების გადაკეთა ხდება დროშის მარჯვენა მხარეს, დროშის 1/3- ზე. ჯვრის მკლავების სისქე წარმოადგენს დროშის სიმაღლის 1/5. დროშის პროპორციაა 2:3.

